RÉPUBLIQUE FRANÇAISE
Liberté
Égalité
Fraternité

Santé publique France

Mon Bilan Prévention
5 კითხვა

თქვენი **უფასო** ვიზიტი

1 **რას გულისხმობს შეთავაზება?**

გეძლევათ შანსი, რომ განიხილოთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა თქვენ მიერ შერჩეულ სამედიცინო პროფესიონალთან: **ექიმი**, **ფარმაცევტი**, **ბებიაქალი**ან **ექთანი**. აღნიშნული სამედიცინო შემოწმება **უფასოა**.

2 **რას მოიცავს ეს შეთავაზება?**

შეგიძლიათ სამედიცინო პროფესიონალს გაესაუბროთ თქვენთვის **მნიშვნელოვან ნებისმიერ თემაზე**. შესაძლოა ეს იყოს ფიზიკური აქტივობა, აცრა, სქესობრივი ჯანმრთელობა, ძილი, დიეტა, მოწევა, ალკოჰოლი და ა.შ.

მიიღებთ **თქვენზე და თქვენს საჭიროებებზე მორგებულ** რეკომენდაციებს, ასევე **პროფილაქტიკის ინდივიდუალურ გეგმას.**

3 ვის შეუძლია სარგებლობა?

18–დან 25 წლამდე, 45–დან 50 წლამდე, 60–დან 65 წლამდე და 70–დან 75 წლამდე ასაკის ყველა ზრდასრულ პირს. უნდა გქონდეთ **Carte Vitale** ან **AME** (სახელმწიფო სამედიცინო დახმარება, იმ შემთხვევაში თუ არ გაქვთ ბინადრობის უფლება).

4 სად უნდა მივიდე პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმებისთვის?

თქვენ მიერ შერჩეული სამედიცინო სპეციალისტის დაწესებულებებში. შემოწმება ჩატარდება **კონფიდენციალურ** გარემოში, სადაც ვერავინ შეძლებს თქვენი საუბრის მოსმენას.

5 როგორ დავგეგმო ჩემი პროფილაქტიკური სამედიცინო შემოწმება?

დაჯავშნეთ ვიზიტი

- ტელეფონით ან ონლაინ რეჟიმში დაუკავშირდით სპეციალისტს, რომელიც მონაწილეობს Mon Bilan Prévention-ში (პროფილაქტიკურ სამედიცინო შემოწმებაში).

ვიზიტამდე

- შეგიძლიათ მოემზადოთ, ამისთვის შეავსეთ კითხვარი ონლაინ ან ქაღალდის ფორმაზე.

- ვიზიტის დაგეგმვაში, **სამედიცინო შემოწმებისთვის მომზადებაში** ან **ინტერპრეტერის მოძიებაში დასახმარებლად** მიმართეთ ასოციაციას **ან სოციალურ მუშაკს**.

გაითვალისწინეთ

- არ არის სავალდებული რეგისტრაციის გავლა **ოჯახის ექიმთან**.
- **შესაძლოა შემოგთავაზონ** ისეთი სამედიცინო პროცედურები, როგორებიცაა სკრინინგი და აცრა. როგორც წესი, ეს პროცედურები ანაზღაურებადია.

NS04-454-24DE

Traduit en géorgien